

საქართველოს



იმისთვის წმინდა საქმეში, ბრძოლაში ბეჭდურად სიფრთხილად, ფაქტობრივად და ჩაბრუნებით ბრძოლაში გადგანა ყველა უკიდურესობაზე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



სუთვაბათი, 24 მაისი, 2007 წელი.

№ 98 (5699)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

საღიზიანებელს განვიხილავთ ნაკლები საკანონო ღირებულებას, ვიდრე ვარაუდობდა



იყოს იდეა, იყოს ნაღდი ლიდერი და ხალხი კვლავაც დაივიწყებს პირადულს, კვლავაც მრისხანე, სამართლიან ძალად დაირაზმება!

3

2 საქართველოში ნგრევის დროა?!



„უსახიერო მოხუც მერიამ შეღავათი მოხსა, უვიდს რომ გააჩნდნენ, 200 ლარს გარეჯებთო“

5

ლიბერტი სანაკოვნი: „ჩვენ არ გვეუბნია იმის თქმის, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს“




რეჟისორი- XXI საუკუნის შავი ჭიჩი

8

მაქსიმალიზაციური პოლიტიკა მიუღებელი უნდა იყოს

6-7



იყოს იდეა, იყოს ნაღდი ლიდერი და ხალხი კვლავაც დაივიწყებს პირადულს, კვლავაც მრისხანე, სამართლიან ძალად დაირაზმება!



საქართველოს
საზოგადოებრივი
ოპინიონის
სააგენტო

რაც მოგვსა და ვითარ...

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 19 მაისის ნომერში დაისტამბა ბატონ გია გაბრიჭიძის წერილი — „დასასრულის დასაწყისი“. მასში ავტორი ჯერ ქვეყანაში შექმნილ მართლაც გაუსაძლის სოციალურ ვითარებას მიმოიხილავს, დაამჯერებლად მსჯელობს, მის მიზეზ-შედეგობრიობაზე და ასკვნის, „ასეთი მდგომარეობა ვერ დარჩებოდა რეაქციის გარეშე ვერც თავმოყვარე პოლიტიკური ძალისა და ვერც თავმოყვარე მოქალაქისგან. მერე, 17 აპრილიდან მოყოლებული, მიტინგებისა და სხვა მასობრივი აქციების დაწყებ-

ბა-განვითარების სრული სურათის წარმოჩენას ცდილობს, ამ მოძრაობის დადებით შედეგს გვაცნობს, არ მალავს, რომ პარლამენტში იმპოზიციაში ერთგვარი უნდობლობა, ამბიციაც იყო და გაკვირვებულა მოსახლეობის უცნაური დამოკიდებულებით „პროტესტის გამოხატვის მიმართ“ — მომიტინგეთა რაოდენობა 15 ათასზე მეტი არ ყოფილაო. შემდეგ უთუოდ ანგარიშგასწავლად ცდილობს ახსნას ზემოხსენებული და, ბოლოს, ამ საპროტესტო მოძრაობის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულებაზე მსჯელობს.

წერილის იმ ნაწილში, სადაც უმძიმესი სოციალური ფონია მიმოხილული, სადავო არც არაფერია, მაგრამ მერე და მერე, როცა ავტორი ზემოწამოთვლილი საკითხებისა თუ მოვლენების განვითარებაზე იწყებს მსჯელობას, ჩემი აზრით, მიკერძოებაც იჩენს თავს და ის ძირითადი მიზეზიც არ არის დასახელებული, რის გამოც ხალხი გაერთიანებული ოპოზიციის ღონისძიებებზე ასე მწირად მიდიოდა. ხოლო ხელი-სუფლების პოზიცია, რაც ერთგვარად აკვირვებს ავტორს, მაგრამ კი ვერა ხსნის მას, სწორედ ამ სიმწირის ლოგიკური შედეგია.

ხელისუფლებას გაცილებით ნაკლები საკენკის დაყრა მოუწევს, ვიდრე ვარაუდობდა

ხალხს ეროვნული იდეა, ჭეშმარიტი ლიდერი რაზმავს

ფენად ყოფს: უმუშევრები, ვინც ყოველდღიურ საშოვარზეა და ამიტომ მიტინგზე მისვლა, ფაქტობრივად, იმ დღეს ოჯახის ულუკმაპუროდ დატოვებას ნიშნავს; დაქირავებულნი, ვინც ყოველდღიურ გამომუშავებაზე არიან (ავტორი, იმის ნაცვლად, რომ ეთქვა, ამ ყოველდღიურ გასამრჯელოს ვერ ელევინანო, რატომღაც ასკვნის, იმიტომ არ მოდიან მიტინგებზე, რომ არაფრის შეცვლის იმედი არა აქვთო); მცირე მენარმეები და ვეტერან-პენსიონერები — ესენი არიან აქციების სული და გულიო, მაგრამ მათი რაოდენობა 10-15 ათას არ აღემატებაო (მაშ, მათს მეტს არც არავის მიუხედავს ფეხი მიტინგებზე) და დიასახლისები და სტუდენტები. პირველნი, თურმე, სერიულად ვერ შელევინა და, შვილების მომავალზე ფიქრს, მარი-აზე ან ანდრესზე დარდი ურჩევნიათ, მეორეებს კი — ნაცმოდრობის დარიგებული მისიურები და ინტერნეტში „ჩეთაბაო“.

ბატონი გია აშკარად შეურაცხყოფს დიასახლისებს. ვერ გეტყვი, მასთან როგორაა, მაგრამ ჩემს გარშემო დიასახლისები, უნდოდეთ კიდევ, ძალზე ნაკლებად იცნობენ სერიალებისთვის. ეს ისეთივე ყურით მოთრეული მიზეზია, როგორც სტუდენტების მისიურები და „ჩეთაბაო“, სხვა ორი კატეგორია, კიდევ, შა და შა, გასაგებია, მაგრამ გაიხსენეთ 1987-1988 წლები. როგორ შეადუღა ეროვნული იდეა ერთი და ბერი. სრულიად საქართველო დადგა ფეხზე! აი, ასეთი იდეა არა აქვს ამ ე. წ. პარლამენტში იმპოზიციისა და ამიტომაც ვერ გამოიყვანა ხალხი!

იყოს იდეა, იყოს ნაღდი ლიდერი და ხალხი კვლავაც დაივიწყებს პირადულს, კვლავაც მრისხანე, სამართლიან ძალად დაირაზმება!

მეტიც — ხალხს არა სჯერა კალი-ასეთი პარტიიდან-პარტიაში მოხტუნავე ე. წ. ლიდერებისა. ერთ-ერთი თურმე, ახლაც უკადრისობს (და ამას ავტორი ღიღინებს) უთ-

კრეტული ვითარება ხომ წინასა და კიდევ იმის წინას ლოგიკური და ერთდერითი შედეგია? ამიტომაც გამიჩნდა ეჭვი, რომ ეს გაერთიანება ბანალური მომენტით სარგებლობა.

ავტორი, ხელისუფლების პოზიციას, ანუ იმას, ვერ რომ ბესო ჯუღელის ყბადაღებული ინიციატივით დაიხია უკან, მერე კი „უფრო უარესი რაღაც-რაღაცეები ჩაიდინა“, „საინტერესოდ“ აფასებს. საამისოდ, ანუ ამ უარესი რაღაც-რაღაცეების ჩასადენად იგი სწორედ ამ გაერთიანებულმა ოპოზიციამ შეაგულიანა. შეჭოქმანებული ხელისუფლება დარწმუნდა, რომ ბალათურია+დავითაშვილი+ლილუაშვილი+გამსახურდია+ნაცვლიშვილი+გაჩეჩილაძე და ა. შ. „ძალიან დიდი ძალა“ კი არა, ყოველად უნიათო და უძალიო რამ ყოფილა და ამიტომაც ჩაიდინა ის რაღაც-რაღაცეები. ამიტომაც გამოვთქვი ზემოაღნიშნულ წერილებში ეჭვი, რომ აქციები სწორედ ამის „გასაიასნებლად“, ეგებ, ხელისუფლებისგანვე მიდის და ზოგი ე. წ. ოპოზიციური პარტიაც, იქნებ, მათს დაგვლებას ასრულებს-მეთქი.

ხელისუფლება დარწმუნდა, რომ საშინო არავფერია. ისე, კარგი ეკონომიაც გაუნია ოპოზიციამ — ხელისუფლებას გაცილებით ნაკლები საკენკის დაყრა დასჭირდება საარჩევნოდ ხალხისთვის, ვიდრე ვარაუდობდა.

კონსტანტინე გურგენიძე

მოქალაქი გვირჩევს

თუ თქვენ არ მოხვალთ ეკლესიაში, მე მოვალ თქვენთან, ოღონდ, მიხმეთ!

საზოგადოება უკიდურესად არის შეშფოთებული საქართველოს საჯარო სკოლებში მოხარდა და მანაშავეობის ზრდის გამო. ლამის ჩვეულებრივ მოვლენად გვექცა იმის მოსმენა, თუ როგორ კლავს ერთი ყმანვილი მეორეს... ამის ატანა უკვე შეუძლებელია. ჩვენ მძიმე შედეგებს ვიპოვით, რადგან თავშივე მივაჩუბათ იმ მიზეზი, რამაც აქამდე მიგვიყვანა.

დღეს, როგორც არასდროს, ისე მართებს ერთ მუშტად შეკვრა ოჯახს, სკოლას და ეკლესიას, რათა ჩვენს შვილებს შორის ასეთი სისხლიანი დაპირისპირება შეწყდეს. გუშინწინ „კურიერმა“ ისიც კი გვამცნო, რომ უკვე ინტერნეტით მოკვლით ემუქრებიან ერთმანეთს ვაკელი ბიჭები — ატენისა და ყიფ-შიძის ქუჩების მცხოვრებნი. შურისძიების პირობა კი დაუნერიათ... შურისძიების ცეცხ-

ლი უნთიათ გულში უდანაშაულოდ გარდაცვლილი მეგობრის გამო... ბოროტება ზეიმობს სიკეთეზე.

რა გზას იპოვის 14-16 წლის მოზარდებში დაგროვილი აგრესია? — ამ კითხვით მივმართე წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის მოძღვარს, მამა კონსტანტინეს (გიორგაძეს), თვითონ ექვსი შვილის მამას, განათლებით პედაგოგის, რომელიც ასევე შეძრწუნებულია მომხდარით:

— ჩვენ, ალბათ, ბოლო ყამის ეპოქაში ვცხოვრობთ. ნახეთ, რა საშინელებები ხდება ყველგან! საქართველოშიც გვაშფოთებს ეს მკვლელობები. ყველაფერი კი უფროსსგან განდგომილობის გამო გვემართება. როცა ადამიანი ომში მიდის და მას აბჯარი არ აცვია, აუცილებლად დაამარცხებენ... აი, ასე, სულიერად შეუიარაღებელი და ვეფიქრით ქართველები. ამიტომაც გვძლევს მტერი ხშირად. ბოლო თხუთმეტი წელიწადია სერიულად, საშინელებათა ფილმებმა, ძალადობამ ნალექა ტელევიზორში. უზნეობის, დაცემულობის მაგალითები ილექება იქიდან მოზარდის ფსიქიკაში, რომელსაც მერე შესაბამისი ნაყოფიც მოაქვს.

მედიკოსებმა იციან, რომ უნდა ებრძოდნენ არა შედეგს, არამედ მიზეზს. არ მინდა ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ, ძირითა-

დად, თვითონ ამ მოზარდების მშობლებიც ურწმუნონი არიან. შვილი მკაცრად უნდა გაზარდო, რათა ბავშვობაშივე არ მიეჩვიოს თვითნებობას, გაუტანლობას, ამპარტავნებას, უნდა ილოცო შვილისთვის, სახლიდან გასვლის წინ სამგზის გადასწერო ჯვარი!

დღეს საქართველოში მძიმე მდგომარეობაა. ხალხი საზღვარგარეთ გარბის ლუკმა-პურის საშოვნელად. ვინც რჩება, ერთმანეთს უპირისპირდება... ამას ისევ და ისევ ჩვენი გარეშე მტერი ახერხებს. ეს ყველაფერი შეუიარაღებელი თვალთაც კარგად ჩანს. მაგრამ ღვთისმშობელი არ მიატოვებს ერს განსაცდელში.

— მამა კონსტანტინე, რა უნდა ილინოს სკოლამ, ოჯახმა, რომ ეს ახალგაზრდები შერიგდნენ?

— ჩემი რჩევა თუ გაინტერესებთ, ასეთია: ეკლესიაში პარაკლისები გადაიხადონ, გამოავლინონ


მარისი იქნება შესარიგებლად. მინდა ყველა მართლმადიდებელ მშობელს ვუთხრა, რომ მათზეა დამოკიდებული შვილების მომავალი. გთხოვთ, იყოთ მორწმუნენი, გიყვარდეთ შვილები. სიყვარული მარტო ჩაცმას, კარგ სმა-ჭამასა და განათლებას არ გულისხმობს, შვილის სიყვარული უფრო ის არის, როცა მშობელი მეტ სულიერებას შესძენს მას. სული მუდამ ხორცზე მეტია.

— რას ურჩევდით სკოლებს?

— იმ სკოლების დირექტორებმა, სადაც ბავშვები ჩახოცეს, მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ. ეკლესიას აკურთხებიან სკოლებში, რათა იქ ანგელოზმა დაისადგუროს, რომ აღარ განმეორდეს ასეთი შემთხვევა. ანგელოზი იცავს ადამიანს განსაცდელისგან.

— ადრე სკოლებში ღვთისმეტყველება ისწავლებოდა...

— მე გასლავართ იაკობ გოგე-



სიყვარულისა და მიტევების უნარი. დაპირისპირებული მხარეების მშობლები აუცილებლად შეხვედნენ ერთმანეთს, ჩავერთონ ამაში ჩვენც — მღვდლები, რადგან გვაქვს გამოცდილება, თუ როგორ შევარტოთ მოპოქერნი... მივიდეს და ბოდიში მოუხადოს ერთმა მხარემ მეორეს... ესეც საკ-

ბავშვის „დედა ენის“ რედაქტორიც, რომელიც ახლახან გამოიცა. შეუძინონ მშობლებმა ეს წიგნი თავიანთ შვილებს. ამით გაზარდონ პირველკლასელები. აბსურდია, თითქოს რელიგიის სწავლება სხვა კონფესიის წარმომადგენლებს აბრკოლებდეს! ოცი საუკუნე ისწავლებოდა რელიგია და არავისთვის ზიანი არ მოუტანია... პირიქით — იზრდებოდნენ ზნეობრივ ადამიანებად! მართლმადიდებლობა არამც და არამც არ არის მოძალადე რელიგია!

— რატომღაც, შურისძიება ბევრს ვაჟკაცობა ჭგონია...

— ვაჟკაცობა სხვა რამაა. იარაღს მაშინ იღებდა ქართველი, როცა ეს ერს სჭირდებოდა, როცა იცავდა მამულს, სახლ-კარს. ერთმანეთის დახოცვა კი ვაჟკაცობა არ არის.

ვაჟკაცობა არის თავმდაბლობა, როცა რაიმეს ითმენ... როცა შეგიძლია, მაგრამ არ ჩაგრავ... ეს მინდა ვუთხრა ჩვენს შვილებს, იმ ბიჭებს, რომელთაც ახლა სისხლი უდღულთ, თავის ენერგიას ნუ დახარჯავთ ბოროტ საქმეში.

ჩემო შვილებო, მოდიეთ ეკლესიაში... თუ ეს არ გინდათ, მე მოვალ თქვენთან, ოღონდ, მიხმეთ! მზად ვარ, ვესაუბრო ორივე მხარეს როგორც საეკლესიო პირი, როგორც ბავშვთა ექიმი, როგორც ადამიანი... შემოვიზღუდოთ თავი, ვკვებდროთ ღვთისმშობელს, რომ გადაარჩინოს საქართველო და ჩვენი ახალგაზრდობა!

ლია ჭილაძე

№ 98. სათაბაოთი. 24 მაისი. 2007 წელი.

„სანამ ცოცხალი ვარ, პირში სული მიდგას, მანამ მცენ პატივი, მერე თუ უნდათ ცელოფანში შემახვიონ და გადამაგდონ“



ეროვნული ხელისუფლება

მიწისძვრა ჩვენს სულელებში

„კვირაში ერთი დღე მოყვასს“ — ამ ლოზუნგით დაიწყო მოძრაობა ქაშუეთის ეკლესიის ეზოში ოციოდე წლის წინათ, რომელიც შემდეგ განვითარდა, იდეებით შეივსო და ბოლოს სახელი „კათარზისი“ დაერქვა. „კათარზისი“, ანუ სულიერი განწმენდა თანაზიარობის გზით, უფრო ზუსტად, ეს ის სულიერი მდგომარეობაა, როცა სხვისი ჭირი შეგძრავს, აგაფორიაჩებს.

სწორედ რომ მიგნებული სახელია, რადგან როცა „კათარზისის“ სახლის ზღურბლს გადააბიჯებ, იქ მინიატიურული მწუხარე საქართველო გვხვდება, იმდენად სულის შემძვრელი, რომ შეუძლებელია ამ ადამიანთა წუხილის თანაზიარი არ გახდეს.

„კათარზისის“ პრეზიდენტი ზურაბ ალადაშვილი იხსენებს 1989 წელს, როცა ქაშუეთის ეკლესიაში თავს იყრიდა შვიდოდე ახალგაზრდა მისი თაოსნობით. ისინი გაჭირვებულებს, მათხოვრებს, მიუსაფრებს ქუჩა-ქუჩა ეძებდნენ და დახმარებას სთავაზობდნენ. პარალელურად პოულობდნენ იმ ადამიანებს, ვისაც ქველმოქმედების უნარი შესწევდათ. სამწუხაროა, რომ არ ახსოვს, ვინ გაუწოდა პირველი დახმარების ხელი, მაგრამ ახსოვს, რომ ყველაზე დიდი ქველმოქმედება „კათარზისს“ „ჯეოსელმა“ გაუწია საქველმოქმედო ლატარეაში გათამაშებული 41 ათასი ლარით.

— სულ თავიდან 100-მდე გაჭირვებულ ადამიანს მოვუყარეთ თავი. მათგან ერთადერთი ქართველი იყო, ზესტაფონელი კაცი, ისიც ფსიქიურად აშლილი. გავიდა წლები და დღეს უამრავი ქართველი გვთხოვს დახმარებას, „კათარზისს“ კი ამდენის უზრუნველყოფის შესაძლებლობა არა აქვს. მხოლოდ 2 ათას 15 ადამიანი იღებს ჩვენს საკვებს საქართველოში, — წუხს პრეზიდენტი.

ეს ორგანიზაცია ოფიციალურად 17 წელია არსებობს. ქუჩიდან შენობაში გადმოინაცვლეს, სადაც არის თავშესაფარი, სასადილო, აფთიაქი, ბიბლიოთეკა, დარბაზი, სამლოცველო, თეატრი, საპარიკმახერო, სამკერვალო... ჰყავთ ექიმი, ფსიქოლო-

გი, მოძღვარი, დიზაინერი, მომწოდებლები და ა.შ. ერთი სიტყვით, ამ პატარა სამყაროში თავს იყრიან ხანდაზმული ადამიანები, რომლებიც აქ იღებენ როგორც მატერიალურ, ისე სულიერ საზრდოს.

ყველა მოხუცს თავისი პრობლემა აქვს, უმეტესად მართლა საჭირობოროტო და ყურადსაღები, თორემ „კათარზისის“ პრეზიდენტი ისეთ ფაქტსაც იხსენებს, როცა ზოგიერთი მათხოვარი ამბობდა თურმე: — თავი მათხოვრობას რომ გავანებო, სახლი რითი ვიყიდო, თქვენ სახლს მიყიდით?

თბილისის „კათარზისის“ სასადილოში ყოველდღე 355

და ერთმანეთზე ზრუნვის დიდი გამოცდილება და სურვილი.

თავშესაფარში არიან არა მარტო მარტოხელები, არამედ ისეთები, ვისაც შვილები ჰყავთ, ოჯახი აქვთ, მაგრამ... ცხოვრების უკუღმართობით, ბევრი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, დარჩნენ სხვისი ხელის შემყურენი, სხვათა თანადგომის მათხოვრები.

38 წელი ვიმუშავე წამყვან ეკონომისტად ფინანსთა სამინისტროში, — ყველა თავის წარსულს ქალბატონი ჯულია, — შვილი მყავს, სპორტის ოსტატი კალათბურთში, ორჯერ აფხაზეთის ომში მიიღო მონაწილეობა. წლების წინათ, ბიზ-

ნამლისათვის, იმ 1,80 ლარსაც ვიშოვი. ეს რა დახმარებაა?

თუმცა, ქალბატონი ჯულიას ერთი საინტერესო ამბავიც გადახდა თავს. მან თვეების წინათ მერიას მიმართა დახმარებისათვის. სულ მალე კურიერმა სოციალური შეღავათების პა-

„ჩემი მთავარი საზრუნავი თქვენთვის და თქვენი ოჯახისათვის შესაფერისი სოციალური გარემოს შექმნა... მაქსიმუმს გავაკეთებთ, რათა არსებული ვითარება მტკიცენულად არ აისახოს თბილისში მცხოვრებ არც ერთ სოციალურად დაუცველ ოჯახზე... თბილისის მერი — გიგი უგულავა“. — ეს სიტყვები, შეიძლება, მართლაც გარკვეული შეღავათი იყოს რიგი ოჯახებისთვის, მაგრამ ჯულიასთვის კი მხოლოდ ლიტონი ნაწერი.

ეს ამბები ერთმანეთის მსგავსია თითქოს, თან განსხვავებული, მაგრამ ერთნაირად კი შეგიძრავს სულს. აქ ყველა ცრემლიანი თვალებში აქვს. ყველას ტკივილი აწუხებს, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი. ზოგი ხმას არც იღებს, ზოგიც იმალება. მათი არათუ დღევანდელი დღე, არამედ მომავალიც გაურკვეველია და სევდილი აღსავსე — სად უნდა დაიმარხოვნი? — აწუხებთ ეს კითხვა. ზოგს უნდა მუხათგვერდის სასაფლაოზე დამარხოვნი, სადაც მათთვის სასაფლაოა გამოყოფილი. ზოგს კიდევ იქ, თავის მშობლების გვერდით უნდა დაიმარხოვნი... ჯულია კი ცხვაგვარად ფიქრობს: „სანამ ცოცხალი ვარ, პირში სული მიდგას, მანამ მცენ პატივი, მერე თუ უნდათ ცელოფანში შემახვიონ და გადამაგდონ“.

კაცმა რომ თქვას, სიკვდილის მერე რა იქნება, არავინ უწყის, მაგრამ მთავარია, ეს ადამიანები სიცოცხლეშივე არ იქცნენ „ცელოფანში გახვეულ გადაგდებულ არსებებად“. ამისათვის კი, მხოლოდ „კათარზისის“ მოწყალეობა და მზრუნველობა ნამდვილად არ კმარა.

თეა მოსია.

„უსასტკარო მოხუცს მერიამ შეღავათი მოეცა — უვიდს რომ გააჩნდნენ, 200 ლარს გაჩუქებთ“

ადამიანი სადილობს, აქედან 147 მწოლიარესთვის შინ მიაქვთ სადილი. 20 ადამიანი, რომელიც „კათარზისში“ ცხოვრობს, სამჯერ სადილოს. ერთი მოხუცის კვებისათვის 1 ლარია საჭირო, ვინც „კათარზისში“ ცხოვრობს, იმისათვის — 5 ლარი. ორგანიზაციის მთავარი დონორი გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამაა.

ხანდაზმულთა გასართობი ძირითადად ტელევიზორია, თუმცა გაზუთებსაც კითხულობენ — „24 საათსა“ და „საქართველოს რესპუბლიკას“, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მხოლოდ ეს გაზეთები მისდით უფასოდ. შაშს, ჭადრაკს თამაშობენ, ჰყავთ უხუცესთა საბჭო, სადაც მათთვის აქტუალურ და საინტერესო ამბებზე ბჭობენ.

წერენ ლექსებს, ცეკვავენ, მღერავენ, მსახიობობენ, უყვარდებთ ერთმანეთი, არის ბევრი კურიოზი და ამასთანავე, ერთმანეთის ურთიერთმოკითხვისა

ნებს ავანსოებო და ბინა დავაგირავეთ. საქმეში უღალატეს, ვალებში ჩავარდა და ვერც ბინა დავიხსენით. ასე აღმოვჩნდი ქუჩაში, მე აქ მოვედი, რძალი და შვილიშვილი 12 კვადრატულ ნაქირავებში ცხოვრობენ. შვილი კიევში წავიდა და ვალებს ისტუმრებდა. ჩამოვიდა ახლა, მაგრამ 40 წლისაა და ასაკის გამო სამსახურს ვერსად იწყებს.

— ხომ გაკითხავენ? — კი, მოდის რძალი, მიაქვს ჩემი სარეცხი, მომიტანს. ჩემი ოჯახი დღეს მაინც „კათარზისია“. ამათი მადლობელი ვარ, მაგრამ მთავრობის რა გითხრათ. ჭიპაშვილმა რომ თქვა, პენსიონერებს დავეხმარები ექიმითა და წამლებით, ჩვენი უნდა დაიწყო. 48 ლარი მაქვს პენსია და მხოლოდ წამლებითათვის ვხარჯავ, იმისთვისაც კი არ მყოფნის, ავადმყოფი ქალი ვარ. „სახალხო ბანკში“ 10-პროცენტის ფასდაკლებაა. თუკი 18 ლარი ვიშოვე ერთი ულუფა

კეტი და „მწვანე პლასტიკური ბარათი“ მიუტანა. თუმცა, შეღავათების თექვსმეტი ჩამონათვლიდან, ჯულისათვის არც ერთი არ იყო.

— ეს ერთადერთხელ ვთხოვე მთავრობას დახმარება და აი, რა პასუხი მივიღე. ინვალიდი ქალი ძლივს ვმოდრობ და მეტროთი და ავტობუსით მგზავრობისათვის ნახევარ ფასს გადაიხდიო (ნეტა, სად დავდივარ?), ფასდაკლება მაქვს წყალზე, ნაგავზე, გაზზე, ტელეფონზე (აბა, რომელი ერთი მჭირდება?), შვილი რომ მეყოლება, 200 ლარს მომცემენ თურმე, აღზრდა-განათლება უფასო მაქვს, სპორტსკოლაში თუ წავალ — ესეც უფასო, 101 წლის რომ გავხდები, 600 ლარს მაშინ მაჩუქებენ. აბა, მითხარით, ეგ რა არის, ეგენი რაში მჭირდებოდა, რა, მასხრად ამიგდეს?

სოციალური შეღავათების პაკეტში კი ასეთ „მალაფარდოვან“ აზრებს წაიკითხავ:

სემინარი

გამოგონებები და ინოვაციები ეკონომიკის განვითარებისთვის

გამოგონებებისა და ინოვაციების როლი ეკონომიკურ განვითარებაში, პრობლემები და პერსპექტივები — ასე ეწოდება საერთაშორისო ორდინანს სემინარს, რომელიც „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა. მისი ორგანიზატორები ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია „ისმო“ და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრია.

სემინარში მონაწილეობდნენ „ისმოს“ ინტელექტუალური საკუთრებისა და ეკონომიკური განვითარების განყოფილების პროგრამის თანამშრომელი ბაჯო ვიბოვი და „ისმოს“ კონსულტანტი ვლადიმერ იოსიფოვი (ყენევა), რუმინეთის გამოგონებებისა და სასაქონლო ნიშნების სახელმწიფო უწყების საინფორმაციო ტექნო-

ლოგიისა და კომერციული სამსახურების დირექტორატის საპატენტო ფონდის დირექტორი ბოგდან ბორევიევიჩი, რუსეთის ინტელექტუალური საკუთრების ფედერალური სამსახურის („როსპატენტი“) დირექტორის მოადგილე ალექსი ლვინეფაძე და სხვა უცხოელი სტუმრები.

სემინარი საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე დიდუბლიძემ გახსნა. ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და ინოვაციური საქმიანობის შესახებ საქართველოში — ისაუბრა ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ გენერალურმა დირექტორმა დავით გაბუნიაშვილმა. ინტელექტუალური საკუთრების როლი ეკონომიკური განვითარების საქმეში; ინოვაციის ხელშეწყობა და გა-

მოგონებებისა და კვლევის შედეგების კომერციალიზაცია; საპატენტო ინფორმაციის გამოყენება მცირე და საშუალო სანარმოების მიერ და ა. შ. — ეს ის თემებია, რომელთა შესახებაც ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრეს სემინარის მონაწილეებმა.

პრობლემატიკას, რომელსაც ეს საერთაშორისო სემინარი განიხილავდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარებისა და მისი ფორმირების პროცესში, როცა ინტელექტუალური პოტენციალი, საერთაშორისო კონკურენციაში, უპირატესობის მიღწევის, ახალ ბაზრებზე გასვლისა და განვითარების ძირითად ფაქტორად იქცა.

აღსანიშნავი ისიც, რომ ამ სემინარზე ქართველი გამოგონებლები „ისმოს“ ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ.

ლელა ღონაძე



სავარაუდოდ, ლტოლვილების პრობლემების მოგვარება სახელმწიფოს მართლაც სურს, რადგან ისან-სამგორის რაიონის ტერიტორიაზე, კერძოდ კი ვარკეთილში, უკვე დაიწყეს სამი კორპუსის მშენებლობაზე ფიქრი, სადაც ლტოლვილები მათი მდგომარეობის გაუმჯობესებამდე იცხოვრებენ



თანამშრომლობა

ლტოლვილთა და დევნილთა პრობლემები გადაიჭრება, იმედი აქვს ხავიაშვილს

მამა-პაპის მიჯაჭვ დაბრუნებაზე

საპარტიო ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა გიორგი ხევიაშვილმა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში ნავიდ ჰუსეინმა ერთობლივი ხელშეკრულება გააფორმეს.

იგი სამინისტროს შემუშავებული და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „დევნილთა პრობლემების მოგვარების სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის“ შემუშავებული ჯგუფების ერთობლივ და-

ფინანსებას ითვალისწინებს. ხელშეკრულებით, დევნილთა სახელმწიფო აღრიცხვარეგისტრაციის პროგრამის თანადაფინანსებაცაა გათვალისწინებული.

გიორგი ხევიაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამაში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (გლუკი) მონაწილეობა დევნილების პროგრამების მოგვარების უდიდესი მხარდაჭერაა.

„გლუკი“ ჩვენი პარტნიორი და აქტიური მხარდაჭერია. ეს თანადგომა ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებაში გამოიხატება. ერთობლივი მუშაობით

დევნილთა პრობლემები ოპერატიულად გადაიჭრება და განხორციელდება“ – თქვა მან. საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის სპეციალური წარმომადგენლის ნავიდ ჰუსეინის ინფორმაციით, „გლუკის“ საქართველოს მთავრობასთან, სახელდობრ კი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან თანამშრომლობის მიზანი, დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

„დევნილთა პრობლემების მოგვარების სტრატეგიაზე წინადადებად ვიმუშავებთ. ჩვენი ძირითადი მიზანი

იძულებით გადაადგილებულთა ცხოვრების გაუმჯობესება იყო. საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სტრატეგია, რასაც სამოქმედო გეგმის შესრულება უნდა მოჰყვეს. ამ გეგმის შემუშავება კარგად მიმდინარეობს, ამაში ჩვენც ვმონაწილეობთ. მოხარული ვარ, რომ ჩვენს შორის ხელშეკრულების გაფორმების ბედნიერება მხვდა წილად,“ – აღნიშნა ბატონმა ნავიდ ჰუსეინმა. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ნავიდ ჰუსეინი აცხადებს, რომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის წარმომადგენლობა, სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავებული ჯგუფების სამდივნოს მუ-

შაობისა და დევნილთა აღრიცხვარეგისტრაციის მიმდინარეობის მონიტორინგს განასხორციელებს. ორივე პროგრამა კი სექტემბრისთვის დასრულდება.

სავარაუდოდ, ლტოლვილების პრობლემების მოგვარება სახელმწიფოს მართლაც სურს, რადგან ისან-სამგორის რაიონის ტერიტორიაზე, კერძოდ კი ვარკეთილში, უკვე დაიწყეს სამი კორპუსის მშენებლობაზე ფიქრი, სადაც ლტოლვილები მათი მდგომარეობის გაუმჯობესებამდე იცხოვრებენ.

გაუმჯობესება კი, სავარაუდოდ, მამა-პაპის მიწაზე დაბრუნებას გულისხმობს.

ოლღა ცისკარიშვილი

გლოუსი

მაქსიმალისტური პოლიტიკა

მაქსიმალისტური პოლიტიკის გაკვირვებას არ უნდა ინვესტირებდეს „გლობუსის“ რუბრიკაში დიდი სახელმწიფოების აშშ-ს და რუსეთის ხშირი ხსენება. პირველი, როგორც თვითონ აცხადებს, სტრატეგიულ პარტნიორად და ახალგაზრდა დემოკრატიის მეზობრად გვთვლის. მეორე კი, პირველისაგან განსხვავებით, ჯერაც იმ დროს მისტირის, როდესაც საქართველოს მართვის სადავეები მოსკოვში იყო. მას ჯერაც ვერ გადაუხარშავს პოლიტიკური რეალობა, რაც გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში იყო. საბჭოთა იმპერიის ნგრევა, სხვა მანამდე არსებულ მემორიალურ შედარებით, ნაკლებად სისხლიანი და გაცილებით სწრაფი გამოდგა, მაგრამ მან სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა ძველი იმპერიის შთამომავლებს.

მოვლენათა დაჩქარებულმა განვითარებამ რუსეთს საშუალება არ მისცა ასევე დაჩქარებულად ჩამოეყალიბებინა მკაფიო, გარკვეული პოლიტიკა გუშინდელი მომე საბჭოთა რესპუბლიკების, დღევანდელი დამოუკიდებელი ქვეყნების მიმართ. დასაწყისში, რუსი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ „დამოუკიდებლობანას“ თამაში მალე დასრულდებოდა და ცურვის უცოდინარი ყოფილები კვლავ მიაშურებდნენ მოსკოვს შველისათვის. 16 წელია აღარ არსებობს საბჭოთა კავშირი, მაგრამ მეზობელ რუსეთში ზოგი დღესაც იმავე აზრზეა, დღესაც იმპერიის თუ მთლიანად არა, ნაწილობრივი აღდგენის იმედი აქვს. არადა ყოფილი ცენტრისათვის გაცილებით მომგებიანი იქნებოდა ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნებთან თანამშრომლო-


ბის, პარტნიორული ურთიერთობების ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მიიზიდავდა და არ გარიყავდა მათ. ყველა ყოფილთან, არა, მაგრამ ზოგიერთთან, (მათ შორის საქართველოც არის), – რუსეთის დამოკიდებულება შაბლონურია, რომლის დროსაც მთავარია აღმზრდელითი ფორმულა – იგრძენი რამდენად ძნელია რუსეთის, მისი ეკონომი-

რენტულ, ზერევე დამოკიდებულებას, ზურგს უმაგრებს ზოგიერთი რუსი მეცნიერის განსხვავებული მიდგომა, როგორც კავკასიის ისე საქართველოსადმი. მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის პროფესორის სერგეი ლუნევის აზრით კავკასია ეკონომიკური თვალსაზრისით არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს რუსეთისათვის,

სოხუმი და ცხინვალის მოსკოვში ხედავენ შველას და ძირითადად მასზე არიან ორიენტირებული. მოსკოვს, რომელსაც გაცილებით აქტიური პოზიციონი გამოვლენა შეუძლია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში, ინერტულობა ძალავს. შესაძლოა ამ ინერტულობას ჩვენი ხელისუფლების თავბრუდამხვევი აქტიურობაც უწყობს ხელს, მაგრამ იგივე მიდგომა ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებითაც. მოსკოვი, რომელიც ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეა, ძველებურად ცდილობს აუღელვებლად დაუჭარბებლად შეასრულოს ბაქოსა და ერევანს შორის დამბალანსებლის როლი. გამოკვეთილია უკუდავი სიბრძნის – დრო ყველაფრის მკურნალის გამოყენება, რაც ალიზიანებს, როგორც ბაქოს, ისე ერევანს. თუმცა არც იმის დაგინყება შეიძლება, რაც 1998 წელს მოხდა. იმ წელს, მხარეები, მოსკოვის მონაწილეობით, ძალიან ახლოს იყვნენ ყარაბაღის საკითხის ეტაპობრივი მოწესრიგების დაწყებასთან, მაგრამ სომხეთის მაშინდელი პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის განცხადებამ „ჩვენ მოვიგეთ ბრძოლა, მაგრამ არა ომი და საჭიროა კომპრომისი“, უაღრესად გააღიზიანა სომხეთის საზოგადოება, რასაც მოჰყვა პრეზიდენტის გადადგომა.

ფორმატის გაფართოებას. ალიევი ერთ-ერთი ინიციატიორიც არის სუამის ტერიტორიაზე გაჭიანურებული კონფლიქტების მოგვარების საკითხის გაეროს 61-ე გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეტანის.

ალიევის ხელს არ აძლევს აშშ-ს და რუსეთის შუამავლობის ტემპი. დრო გადის, აზერბაიჯანის ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია. არც დნესტრისპირეთშია დაღსინებული ვითარება, თუმცა 2003 წელს იქაც შესაძლებელი იყო გარკვეული შედეგის მიღწევა. რუსეთის მონაწილეობით, კიშინიოვსა და ტირასპოლს შორის გამართულ მოლაპარაკებაზე, შემუშავდა გეგმა მოლდოვას ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნის თაობაზე, დნესტრისპირეთისათვის ფართო ავტონომიის გარანტიით. დოკუმენტის გასაფორმებლად ყველაფერი მზად იყო. ასევე მზად იყო პუტინიც კიშინიოვში გამგზავრებისათვის, მაგრამ ბოლო წუთებში მოლდოვას პრეზიდენტმა ვორონინმა, უკან წაიღო თავისი თანხმობა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ვორონინის ფერიცვალება ვაშინგტონისა და ევროკავშირის ზენოლის შედეგი იყო. ის, რომ მათ ალიზიანებდათ რუსეთის დიპლომატიური წარმატება, ამაში გასაკვირი არაფერია, ოღონდ დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური ქიშპობა ძვირად უყვდებათ პრობლემებიან ქვეყნებს. ასეა თუ ისე, რუსეთის გაგებით უმადური ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები სწორედ რუსეთს და არა სხვას ადანაშულებენ საქართველოს პრობლემების მოუგვარებლობაში. მათთვის პუტინის განცხადება: „ჩვენ არ ვილტვით ჩვენი ტერიტორიების გაფართოებისათვის,“ ნაკლებად დასამშვიდებელია, ვინაიდან პუტინმა ისიც თქვა, რომ რუსეთი



კისა და ბაზრის გარეშე არსებობა. ცხადია რუსეთის ეკონომიკასა და ბაზარს მიჩვეული ყოფილი რესპუბლიკებისათვის ეკონომიკური ბარიერების გადალახვა არცთუ იოლი საქმეა, მაგრამ გაჭირვება რას არ გააკეთებინებს კაცს.

ეკონომიკური სანქციები, სამწუხაროდ, უბრალო ხალხის და არა ხელისუფლების ზურგზე გადადის. არც ის გათვლა მოქმედებს, რომ დამშუული ხალხი ყელს გამოლრდნის საკუთარ ხელისუფლებას.

მოსკოვში არსებული ახლო საზღვარგარეთისადმი დამოკიდებულების ისარი ძირითადად ან არაფერზე ან ყველაფერზე დგას და საშუალო მაჩვენებელზე არასოდეს ჩერდება. პირველ თეორიას, ინდიფერ-

სომხეთსა და საქართველოს მსოფლიო მინიმალური ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის, ხოლო აზერბაიჯანს – შედარებით მეტი (იგულისხმება აზერბაიჯანის ენერგორესურსები). წამგებიანია საქართველოსადმი აუნაზღაურებელი დახმარება, ვინაიდან რუსეთს, საქართველოს სპონსორობიდან, არავითარი დივიდენდები არ აქვს.

მოსკოვსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ურთიერთობათა დაძაბვის უმთავრესი საკითხი სეპარატიზმია. მოსკოვი, რომელიც დაჟინებით აცხადებს, რომ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, იმავდროულად გადაფარებულია აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთზე.

№ 98. სუთსაპატიო. 24 მაისი, 2007 წელი.

როგორც ჩანს, ძუნწი დები ნასახლარებს რომ არ ანგრევენ, ამით სახსრებს ზოგავენ, მაგრამ ვაი ასეთ მომჭირნობას. თავიდან მშენებლებმა დაპირებები გულუხვად ჩამოარიგეს, მაგრამ რაკი კომერციულ მიზანს მიაღწიეს, სატიველთა გასაჭირი ფეხებზე დაიკიდეს და მთელი უბანი გაპარტახებული დატოვეს



გერმანული ბომბორთქანა

გვანარაე

მშენებლებმა თავისი გაინადღეს, უბანი კი ნაბვის გუდელ აქციეს

თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა აკაკი დოლიძის წერილები, რომლებშიც ავტორი მწარე სიტყვებით ამკობდა დების მათა და რუსუდან კერვალიშვილების საბიზნესო საქმიანობას. მათმა საქციელმა მეც ამაღებინა ხელში კალამი, რადგან სანანებელი გამისდა მშენებელ დებთან დადებული ხელშეკრულება. მათ ჩემი სახლის უშუალო სიახლოვეს ნამოწყებული ცათამბჯენების მშენებლობისას უსაფრთხოების წესების სრული უგულვებლყოფით, ჯერ სახვენად გამისადღეს ახალი ბინის მიღება ჩემი დიდი ეზოს სანაცვლოდ. ახ-

ლა კი რუსუდან და მათა კერვალიშვილებმა ასევე სამუდამო პრობლემად მიქციეს ამ ნასახლარის დაშლა-დანგრევის საკითხი. ქმარგარდაცვილი მართხელა მოხუცი ქალი ვარ, სოფელშიც სახლი ნგრევის პირასაა მისული, მინდა ეს ჩემი სამშენებლო მასალა მას წავახმარო. რაც ჩემია გამატანეთ, გთხოვთ, თქვენს მუშებს დააშლევინოთ ჩემი სახლი, - მივმართე ქალბატონ რუსუდანს. ნურას უკაცრავად, ბინა ხომ მოგეცით, თქვენთან აღარაფერი გვესაქმებო, იყო პასუხი. დიას, გაიმეტეს ჩემთვის ქვე-

და სართულზე სარდაფისეული ფართი, ნაკლები რაოდენობისა, ვიდრე ეზო და სახლკარი გამაჩნდა. ამახ არ ვჩივი, მაგრამ ნასახლარები რატომ მიატოვეს უპატრონოდ? დებმა თავისი გაინადღეს, ირგვლივ არსებული გავერანებული უბანი კი ანტისანიტარიის კერად აქციეს. ჩემს გვერდით მდებარე სახლშიც იგივე მდგომარეობაა. მისმა პატრონმა ახალ კორპუსში მიიღო კეთილმოწყობილი ბინა, თუმცა, აი რამდენიმე წელიწადია ძველის დანგრევას არც აპირებენ. როგორც ჩანს, ძუნწი დები ნასახლარებს რომ არ ანგრე-

ვენ, ამით სახსრებს ზოგავენ, მაგრამ ვაი ასეთ მომჭირნობას. თავიდან მშენებლებმა დაპირებები გულუხვად ჩამოარიგეს, მაგრამ რაკი კომერციულ მიზანს მიაღწიეს, სატიველთა გასაჭირი ფეხებზე დაიკიდეს და მთელი უბანი გაპარტახებული დატოვეს. იქ, სადაც მშენებლობაა, მას ნგრევაც ახლავს. «ცენტრ პოინტი» ვალდებულია უბანი ანტისანიტარიის ბუდედ ქცეული ძველი ნასახლარებისგან განმინდოს. აბა, სხვამ ვინ უნდა გააკეთოს ეს? თინათინ ხალაშვილი, საგივისუნელი დასახლისი

ინფორმაცია საქართველოში სოციალური უსუსობა ბაიროს გენერალურმა ასამბლეამ საქართველო მშვიდობის მშენებლობის კომიტეტის წევრად ერთხმად აირჩია. გაეროს ახალი ამბების პრეს-სამსახურის ცნობით, საქართველო ამ ორგანოში ხორვატიას შეცვლის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის მშენებლობის კომიტეტი, რომელიც 2005 წლის 20 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს პარალელური გადაწყვეტილებით შეიქმნა, მთავრობათაშორისი კონსულტაციური ორგანოა. X0-308-360

გლოუსი

მიუღებელი უნდა იყოს

ყურადღებით მიადევნებს თვალს საერთაშორისო პრეცედენტებს, მათ შორის კოსოვოს. კოსოვოს პრეცედენტი ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ მხოლოდ ჯერ. მსგავსი თუ ნაკლებად მსგავსი სეპარატისტული ბაცილით დაავადებული მხარეები სტარტზე მდგომ სპრინტერებს გვანან, რომლებიც სტარტის სიგნალს ელოდებიან. მათთვის მთავარი - კოსოვოს დამოუკიდებელი სტატუსის აღიარება იქნება, რის შემდეგაც თვითღიარებული ქვეყნები გაათავებენ ენერგიით შევსებული იგივეს მოპოვებას და ამ დროს ვაშინგტონის ან ბრიუსელის მტკიცება, რომ კოსოვოს პრობლემა უნიკალურია და ის სხვაზე არ გავრცელდება, ვერ შეაჩერებს აზვირთებულ სეპარატისტებს. სხვა საკითხებთან ერთად კოსოვოს, ირანის, რაკეტისაინა-აღმდეგო იარაღის საკითხები იყო ძირითადი, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის მოსკოვში მოლაპარაკების დროს. იგივე საკითხებს შეეხნენ რუსეთ-ევროკავშირის სამარის შეხვედრაზეც. მოსკოვის შეხვედრა რუსეთ-ამერიკის დაძაბული ურთიერთობების გასანეიტრალებლად დაგეგმა ვაშინგტონმა, მაგრამ მიზანი ვერ იქნა მიღწეული. მოლაპარაკებათა დასრულების შემდეგ, სხვათა დასამშვიდებლად, ორივე მხარემ ის განაცხადა, რომ შეეცდებიან მასმედიაში მაინც, შეარბილონ ერთმანეთის სანადალმდეგო განცხადებები, თუმცა ამის შესრულება განსაკუთრებით აშშ-ი და ისიც წინასაარჩევნო კამპანიის დროს, როდესაც სწორედ რუსეთის გინებით ხდება ქულების დაწერა, შეუძლებელია; მსგავსი ვალდებულების აღება მხოლოდ ისეთ ქვეყანას ხელუწევია, სადაც მთავრობა აკონტროლებს პრესას, ასეთი აშშ წარმოუდგენელია. ვერც სამარის შეხვედრა გა-

მოდა შედეგაინი. ევროკავშირის ახალი წევრების: პოლონეთის, ესტონეთის და სხვათა მეცადინეობით რუსეთ-ევროკავშირის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება ამ ეტაპზე შეუძლებელია. პოლონეთი ნანყენია რუსეთის მხრიდან ხორცზე ემბარგოს დანესებით. რუსეთი ამტკიცებს, რომ პოლონეთიდან შეტანილი ხორცი პოლონური არ არის და თანაც ნაკლებად სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის. პოლონეთის სხვა სანადალმდეგო მოსაზრებაც აქვს ჩამოყალიბებული რუსეთის მიმართ, რასაც ნაწილობრივ იზიარებენ ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოებიც. მათ შორის ენერგეტიკული საკითხებიც ფიგურირებს.

სამარაში გამართული შეხვედრის შედეგი, უფრო სწორად უშედეგობა თავიდანვე იყო ცნობილი, მაგრამ შეხვედრა შედეგად, რომლის დადგენა მხარეებმა ერთმანეთის მიმართ დააფიქსირეს საკუთარი მწვავე პოზიციები. ევროკავშირის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ, გერმანიის კანცლერმა მერკელმა და ევროკავშირის კომისარმა ბაროზუმ მასპინძლებს შეახსენეს რუსეთში ადაშიანის უფლების დარღვევის მაგალითები. პასუხად პუტინმა ილაპარაკა რუსულენოვანი მოსახლეობის შევიწროებაზე ბალტიისპირა ქვეყნებში ესტონეთს და ლატვიაში. მან განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა ესტონეთზე, სადაც პოლოდროს მწვავე მოვლენებს ჰქონდა ადგილი საბჭოთა მეომრის ძეგლთან დაკავშირებით. 34

ქვეყნის ტერიტორიაზე ფაშიზმისაგან ევროპის გამანთავისუფლებელი საბჭოთა მეომრის ძეგლები. მათ შორის ყველაზე გრანდიოზულია ბერლინის მემორიალური კომპლექსი, რომელიც 200.000 კვ. მეტრს მოიცავს. ტრეპტოვ-პარკში 13 მეტრის სიმაღლის საბჭოთა მეომრის ძეგლია აღმართული, რომელსაც ჩახუტებული ჰყავს სიკვდილსგადარჩენილი გერმანელი გოგონა. ძეგლს და კომპლექსს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან. 2004 წელს 45-ტონიანი ჯარისკაცის ძეგლი გაერმონტდა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს 2.5 მილიონი ევრო დაუჯდა. ცივილიზებული ქვეყნის ცივილიზებული ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ასეთი ხარჯი გამართლებულია. სამწუხაროდ, ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები, განსაკუთრებით ბალტიისპირ-

ტიისპირეთი უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ევროკავშირის სხვა წევრებს, განსაკუთრებით ძველ ქვეყნებს. ახალი წევრების არაადეკვატური ქცევით გამომწვეული შედეგები სახეზეა - გართულებული დამოკიდებულება რუსეთთან, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამისა, ევროკავშირ-რუსეთის კავშირები შეუქცევადია. აშშ-ს არა მარტო ევროკავშირთან და რუსეთთან აქვს თავისებური მიდგომა, არამედ სხვა ქვეყნებთანაც. ურთიერთობებში მთავარია საკუთარი პოზიციების გამყარება და ყველაფრის გაკეთება, რომ არ მოხდეს სხვათა, თუნდაც ევროკავშირის აღზევება. დღეს, გაერთიანებული ევროპა სათანადო კონკურენციას ვერ გაუწევს აშშ-ს, მაგრამ ეშმას არ სძინავს. სვალ სხვა ვითარება შეიძლება შეიქმნას. სწორედ ამიტომ ვაშინგტონის მხვილ თვალს სურს წუთითაც არ გამოჩინდეს ევროპის დიდ ოჯახში მიმდინარე დულილი. ძველი ევროპა ყოველთვის ითვლებოდა თავისებური, დამოუკიდებელი პოლიტიკის მიმდევრად. გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერების პოლიტიკური არენიდან წასვლამ გარკვეული დადებითი შედეგები მოუტანა ვაშინგტონს, ვინაიდან მერკელს და სარკოზიც აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნევენ თავს. ვაშინგტონი ახალისებს ევროკავშირის ახალ წევრებს, რომლებიც უფრო ვაშინგტონისაკენ იყურებიან, ვიდრე ბრიუსელისაკენ. თეთრი სახლის შორს მიმავალ გეგმებში ევროპული ოჯახის დაპირის-



პირებაც და რუსეთთან მისი ურთიერთობის გაუარესებაც მოიაზრება. რუსეთი ამ პოლიტიკურ თამაშს მყიფე დიპლომატიას უპირისპირებს, რაც ნეგატიურად აღიქმება დასავლეთში. დიდ ქვეყანას ყოველთვის აკლდა პოლიტიკური ლავირების უნარი. ფორმულა - ან ყველაფერი, ან არაფერი გამოკვეთილია. რაც შეეხება აშშ-ს, შესახელმწიფოების მძიმე ტვირთი და პასუხისმგებლობა მისთვის ერთობ მძიმე აღმოჩნდა. მსოფლიო ტვირთის წამოკიდება აფიქრებდა აშშ-ს წინაპრებიდენტებს. დიდი პასუხისმგებლობა მათში ყოყმანს იწვევდა. ჯორჯ ბუშ უმცროსმა დღიდან თეთრ სახლში მიხვლია, გადალახა ეს ბარიერი და უშაღ დასასახა მიზნად ერთპირობული მსოფლიო ლიდერობა. მისდა სამწუხაროდ შედეგი სავალალოა. საგარეო პოლიტიკაში და შევებული შეცდომები სახეზეა. რესპუბლიკური ადმინისტრაცია დარჩენილ წელიწადნახევარში ვერ მოახერხებს უხეში შეცდომების აღმოფხვრას. ამერიკა ისე აღრმად ჩაეფლო ერაყში, რომ სხვა პრობლემებისათვის ვეღარ იცლის. ოპოზიციური კონგრესისა და ფართო საზოგადოების მონოღებამ თავისი გატანა, როგორც იქნა, ვაშინგტონმა გადაწყვიტა ერაყის პრობლემებთან დაკავშირებით პირისპირ დაელაპარაკოს მისთვის ნომერ პირველ მტერს - ირანს. 28 მაისს დაგეგმილი შეხვედრა ერაყის პრობლემების მოწესრიგების დასაწყისი უნდა იყოს. თუ რამდენად გამართლებდა ვარაუდი, მომავალი გვიჩვენებს. ამერიკელთა უნიათო ერთპიროვნულმა ლიდერობამ მსოფლიო ლიდერობის სხვა მსურველ სახელმწიფოს შეიძლება მადა გაუფუჭოს. რაც მრავალპოლუსიანობის სანინდარი შეიძლება გახდეს. კამელტ შიხაშვილი, პოლიტოლოგი

№ 98. ხუთშაბათი. 24 მაისი. 2007 წელი.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ქვეყნის მთავრობისადმი დევნილთა სარეაბილიტაციო პროგრამის აუცილებლობას და მიიღეს შესაბამისი რეზოლუცია



ფსიქოლოგიური ყოფა

საუკუნეების განმავლობაში ათასგვარი უმძიმესი დაავადება მუსრს ავლებდა ცოდვილ კაცობრიობას.

ხან რას ეძახდნენ შავ ჭირს და ხან რას...

დღეს, კოსმოსისა და კომპიუტერის საუკუნეში, ადამიანი ისევ

იტანჯება გულსისხლძარღვთა დაავადებებით, სიმსივნეებით („შინაურულად“ კიბოს რომ ეძახიან), ჰიპერტენზიით (მაღალი წნევით), დიაბეტით, ლეიკემიით, ნარკომანიით, შიდსით და ა. შ.

სულ ახლახან მსოფლიოს წამყვანმა მედიკოსებმა დაადგინეს, დეპრესია აუცილებლად უნდა ვალიართო XXI საუკუნის შავ ჭირად!

„ავშენდით!“ – საქართველოში ისეთი მძიმე სოციალური ფონია, ლამის ქვეყნის თითოეული მოქალაქე სახედალრეჯილი შესცქერის ამ უსამართლო წუთისოფელს და ღრმა დეპრესიას მისცემია...

დეპრესია- XXI საუკუნის შავი ჭირი

ისიც დღესაც ნათელია, რომ დეპრესია ჩვენი ფსიქოლოგიური ყოფაა და ტვინის (გონების) დიდი ხნით სტრუსულ მდგომარეობაში ყოფნა უმძიმესი, მათ შორის ზემოთ ჩამოთვლილი შინაგანი დაავადებების წარმოქმნის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა.

სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოს 6 მილიარდზე მეტი მოზინადრიდან, ოციწი ალური სტატისტიკით, 75-80 პროცენტი (ბავშვების ჩათვლით) თურმე სხვადასხვა ფორმის ნერვოზით არის დაავადებული!

ხომ არ ამართლებს ეს სავალალო სტატისტიკა დღეს მთარულ ფრანსს – „მსოფლიო ისე შეიშალა, მიორად მოსვლა გარდაუვალია“.

ნევროზიც ჩვენი სულიერი მდგომარეობაა და „სერიოზულ“ დაავადებად იმიტომ არ ითვლება, რომ დეპრესიასთან, ღრმა ფსიქიკურ აშლი-

თანამედროვე მსოფლიოში დეპრესიაზე, ფსიქიკური აშლილობების მკურნალობაზე სერიოზული მსჯელობა რომ აუცილებელზე აუცილებელია, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამ რამდენიმე დღის წინათ მერაბ ბერძენიშვილის ცენტრის სააქტო დარბაზში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე.

სიმპოზიუმის ორგანიზატორები დანიის ფარმაცევტული კომპანია „ლუნდბეკი“ და საქართველოში მისი წარმომადგენლობა (ხელმძღვანელი მურ-

ცი, პროფესორი ედუარდ ცუკარზი. მან ისეთი შთაბეჭდავი, პრაქტიკული მაგალითებით სავსე მოხსენება წარმოადგინა, დისკუსიაშიც ისე ხშირად ერთვებოდა, აშკარად ნასიამოვნები ჩანდა ქართველ მედიკოსებთან ურთიერთობით.

სიმპოზიუმის მუშაობას უძღვებოდნენ აკადემიკოს პ. სარაჯიშვილის სახელობის კლინიკური ნევროლოგიის და ნეიროქირურგიის ინსტიტუტის გენერალური დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი რომან შაქარიშვილი და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქიკური მიმართულების ნეირომედიცინის დეპარტამენტის პროფესორი, საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების მდივანი ზურაბ ბერია.

– დიაბეტი და დეპრესიის ურთიერთკავშირი: ეპიდემიოლოგია, კლინიკისა და თერაპიის თვისებებზე, ასეთი იყო დიაბეტის ცენტრის დირექტორის, საქართველოს დიაბეტის კავშირის და ენდოკრინულ ასოციაციის თავმჯდომარის, პროფესორ რამაზ ყურაშვილის გამოსვლის თემა.

ანტიჰიპერტენზიული მკურნალობისას ავადმყოფთა დამყოლობის პრობლემატიკაზე

ისაუბრა მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოში ჰიპერტენზიის შემსწავლელი საზოგადოების პრეზიდენტმა, პროფესორმა ბეჟან წინამძღვრიშვილმა.

ორი კონკრეტული, ერთობ დამაფიქრებელი ფაქტი ბეჟან წინამძღვრიშვილის მოხსენებიდან: 2006 წელს მსოფლიოში მალაქაში შედგა ანუხედა მილიარდამდე ადამიანს (ძირითადად მამაკაცებს), 2020 წლისთვის ეს ციფრი 1,5 მილიარდს მიაღწევს, რადგანაც კაცობრიობის ფსიქო-სოციალური პრობლემები დღითი დღე ღრმავდება.

საქართველოში ჰიპერტენზიით (მაღალი წნევით) გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი შეადგენს 49 პროცენტს, მაშინ როდესაც მეზობელ აზერბაიჯანში იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 21 პროცენტი!

კომენტარი მკითხველისთვის მიგვიღვია.

სიმპოზიუმზე ახალი მედიკამენტებით დეპრესიის და შიზოფრენიის მკურნალობის შედეგებზე ისაუბრეს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტის პროფესორმა ვიტალი კაშიამ, საქართველოს ფსიქიკური ასოციაციის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის ექიმმა-ფსიქიატრმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ქეთევან აბდუშელიშვილმა. ნევროლოგიურ პრაქტიკაში დეპრესიის მართვის პრობლე-

მეზობელ სრულყოფილი მოხსენება წარმოადგინა ნევროლოგიის და ნეიროქირურგიის ინსტიტუტის დირექტორმა სამეცნიერო დარგში ალექსანდრე ცისკარაძემ.

აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში დეპრესიის გავრცელების მასშტაბებზე ისაუბრა აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრმა დალილა ხორავამ. სიმპოზიუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ქვეყნის მთავრობისადმი დევნილთა სარეაბილიტაციო პროგრამის აუცილებლობას და მიიღეს შესაბამისი რეზოლუცია.

ერთი შეხედვით ეს „მშრალი“ ინფორმაცია ასე დაწვრილებით იმიტომ წარმოგიდგინეთ, რომ მკითხველს ქართველი ექიმების (თერაპევტების, კარდიოლოგების, დიაბეტოლოგების, ფსიქიატრების) იმედს გაუჩნდეთ, რომ ისინი ერთად მსჯელობენ, ერთად სახავენ გზებს კიდევ ერთი მძიმე სენის – დეპრესიის და სამართლებრივად.

– შესაძლოა დეპრესიას, ისე როგორც დიაბეტს ბოლომდე ვერ ვძლიოთ, მაგრამ ამ დაავადებებთან ერთად დიდხანს შეიძლება ცხოვრება. მთავარია, საკუთარ თავს ვფლობდეთ, ექიმს ვუჯერებდეთ, სობოროტის ნაცვლად სიკეთს ვთესდეთ, ნებისმიერ სიტუაციაში სიცოცხლის ხალისი არ უნდა დაგკარგოთ და ისედაც ხანმოკლე წუთისოფელს რაც შეიძლება მეტი შინაარსიანი წლები გამოვსტყუოთ, – მიიხარა სიმპოზიუმზე ყველაზე მხატვრული და დამაჯერებელი გამოსვლის ავტორმა, პროფესორმა რამაზ ყურაშვილმა. დიაბეტისა და დეპრესიული სინდრომის პრობლემებს ჩვენ ისევ დავუბრუნდებით.

სპარტაკ ძოპულია



პაბლო პიკასოს ნახატი

ლობასთან შედარებით, წითელა ბატონებით „საყმანვილო სენად“ მოისხენიებენ.

ისე, საყმანვილო სენი უძახე შენ... ნევროზის დამარცხების თანამედროვე, ელემენტარულ მეთოდებს (მონესრიგებული დღის რეჟიმი, ავტორენინგი, ძილის წინ სერიზობა და სხვა), თუ არ ან ვერ ვვლობთ, სწორედ „უწყინარი“ ნევროზი ხდება დეპრესიის და ფსიქიკური აშლილობის საფუძველი.

მან გიორგაძე) გახლდათ.

რუსეთელმა ექიმებმა, პროფესორებმა ტატიანა ვოზნესენსკაიამ და ვიტალინა ლორკუტოვამ, შემოვლითი გზების სირთულის გამო, თბილისამდე ვერ ჩამოაღწიეს. სამაგიეროდ, მგზავრობის სიშორეს არ შეუშინდა და სიმპოზიუმზე ავსტრიის დედაქალაქ ვენის გავლით (!) გვესტუმრა მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ინტენსიური თერაპიის განყოფილების თავკა-

გუზღუნა გერიკაცი

„რაციონალიზატორული“ წინადადება

„პატივცემულო მგზავრობო! გთხოვთ სატრანსპორტო მომსახურებასთან დაკავშირებით თქვენი შენიშვნები და წინადადებები მოგვანოდოთ 10 საათიდან 18 საათამდე შემდეგ ტელეფონებზე: 34-23-37, 34-32-47.“

ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური გისურვებთ ბედნიერ მგზავრობას!

ტექსტი ხომ გეცნობთ, პატივცემულო მკითხველებო, იგივე პატივცემულო მგზავრობო – მართალი ბრძანდებით, ნებისმიერ საქალაქო ავ-

ტობუსში გინახავთ მძღოლის უკან, თვალსაჩინო ადგილას გაკრული, ოღონდ ეგებ „ჩემი კუთხით“ არ აღითქვამთ.

ეს კუთხე კი ისაა, რომ როცა ვეჭვრანებს უფასო მგზავრობის უფლება ჩამოართვს, როცა დღე-დღეზე საფასურის გაორკეცებას აპირებენ – ბედნიერი მგზავრობა რანაირად გამოვა, ნეტავი?

ასეთი სურვილი დაცინვად ხომ არ გაისმის, თუ ცინიკურად არა! განა არ გვახსოვს, შესაბა-



ლუკა ბიორგაძე

ინფორმაცია

წმ. ბარბაროს სახელობის ტაძარი

არ გაუშვარცხვამო

ბათუმში, წმინდა ბარბაროს სახელობის ტაძრის გაძარცვის ფაქტს საპატრიარქოს პრეს-სამსახური უარყოფს. საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსი მარიამ გაგუა ბათუმისა და ქობულეთის მთავარეპისკოპოსს მეუფე დიმიტრის ესაუბრა, რომელსაც აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია არ გააჩნია.

XI-006-360

პროექტის მიხედვით, გუმისა და ფსხუს გავლით, ყარაჩაი-ჩერქეზეთში აფხაზეთიდან მიმავალ ყველაზე ოპტიმალურ მარშრუტად კავკასიონის ერთ-ერთი მთავარი ქედის გადასასვლელი განიხილება



ეროვნული გიზლირთეა

ფორუმი

ახლახან ყაზახეთში, ქალაქ ალმა-ათაში, ევრაზიის სამდღიანი მედია-ფორუმი გაიმართა მსოფლიოს 50 ქვეყნის 600-ზე მეტი დელეგაციის მონაწილეობით. მინვეულთა შორის იყვნენ ცნობილი პოლიტიკოსები - ირანის ისლამური რესპუბლიკის ექს-პრეზიდენტი მოჰამად ჰათამი, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის მოადგილე რიჩარდ პოლბრუკი, რუსეთის ფედერაციის ექს-პრემიერი ევგენი პრიმაკოვი... დისკუსიებში გამოდიოდნენ აგრეთვე რუსეთის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, უკრაინის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა

და სხვა ქვეყნების პოლიტოლოგები და წამყვანი საინფორმაციო საშუალებების ხელმძღვანელები.

მედია-ფორუმზე საქართველო წარმოადგინეს ჩვენი ქვეყნის ელჩებმა ყაზახეთსა და საფრანგეთში ზურაბ შურაბიაძემ და მამუკა კუდაშვიმ, ტელეკომპანია „იმედის“ გენერალურმა პროდიუსერმა ოთარ შამათაშვიმ და გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარმა რედაქტორმა ტატო ლასხვიშვილმა.

სწორედ ბატონ ტატოს შევხვედით ალმა-ათის შეკრების თაობაზე სასაუბროდ.

დებატები ალმა-ათის ცის ქვეშ

როგორი იყო მედია-ფორუმის დღის წესრიგი, რა მოტივით შეირჩა გამოტანილი საკითხები?

ცხრა სხდომა გაიმართა ისეთი აქტუალური თემების განხილვით, როგორცაა ახლო აღმოსავლეთის პრობლემების გაშუქება, ირანისა და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პოლიტიკა, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ამ სახელმწიფოთა დაპირისპირება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დემოკრატიზაცია და სხვა. ქვეყნებში, ევროპის რეგიონალური უსაფრთხოების საკითხები, მედიაზე ახალგაზრდული კულტურის გავლენა და ასე შემდეგ. ორგანიზატორთა თქმით, თემები თვით ცხოვრების ნაკარნახევი და ამ მოსაზრებას, ალბათ, უნდა დავეთანხმეთ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩემი კოლეგების მხრიდან პრეტენზიაც გამოითქვა -

შეხვედრებზე პოლიტიკური თემების სიჭარბე იგრძნობაო. ჩემი აზრით, ეს აბსოლუტურად ნორმალურია, რადგან პოლიტიკა და მედია მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. გარდა ამისა, ყურნალისტიკის ერთ-ერთი დანიშნულება ხომ ყოველდღიურ მოვლენებსა და აუდიტორიას შორის შუამავლობაა. ამიტომაც იყო ევრაზიის მედია-ფორუმი თანაბრად საგულისყურო როგორც ყურნალისტიკისა და პოლიტიკოსთათვის, ასევე იმ ადამიანებისათვის, ვისთვისაც სისტემატურად ვმუშაობთ, ვინც ჩვენს საქმიანობას მუდმივად ადევნებს თვალს და აფასებს.

ქართველი დელეგატების საქმიანობაზე რას ეტყობოდა მკითხველს, თქვენს გარდა, სხვა ქართული გვარებიც ხომ არ გახმინებულა?

პირველი სამუშაო დღე გამოჩნულად დატვირთული გამოდგა ჩვენი დელეგაციისათვის. იმდღევანდელი სხდომის ერთი ნაწილი მიეძღვნა ევრაზიის რეგიონალური უსაფრთხოების პრობლემებს, მეორე ნაწილის სახელწოდება კი გახლდათ „პოსტსაბჭოთა სივრცე 2007 წელს“.

მოდერატორი (შეიძლება ამ ცნების გაგება, როგორც „გამომიერებელისა“ - თ. შ.) იყო ჩვენი თანამემამულე, ცენტრალური აზიის ქვეყნებში ბიზნისის საკუთარი კორესპონდენტი ნატალია ანთელავა, უდავოდ მაღალი კლასის პროფესიონალი, რომელიც ძალზე ოსტატურად წარუძღვა შეხვედრას

(სხვათა შორის, ცნობილი ქართველი ჟურნალისტის გიული ანთელავას ქალიშვილია).

შეხვედრაზე გამოსულმა პოლიტიკოსებმა და საერთაშორისო ექსპერტებმა იმსჯელეს იმ გამოწვევებზე, რომლებიც საფრთხეს უქმნიან რეგიონალურ უშიშროებას, იმსჯელეს გაყინულ კონფლიქტებზე, მოსკოვთან, პეკინთან, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ევრაზიის სახელმწიფოების ურთიერთობებზე.

საუბრები საკმაოდ ცხარე და პრინციპული გამოვიდა. კოლექტიური უსაფრთხოების შენახვაზე ხელშეკრულების ორგანიზაციის გენმდივანმა ნიკოლაი ბორდიუჟამ ბრძანა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის მთავარი პრობლემა რეგულაციების ექსპორტია, რომ არიან „ცნობადი“ პიროვნებები, რეგულაციის ექსპორტიორები, ახალი დროის ჩე გვევარები. თქვა აგრეთვე, რომ არსებობს კავკასიისა და ცენტრალურ აზიაში კონფლიქტების განახლების საშიშროება. მე რომ მკითხოთ, ამის აღნიშვნა გაფრთხილებას უფრო ჰგავდა.

ასეთ ემოციურ გამოსვლას საქართველოს ელჩმა საფრანგეთში მამუკა კუდაშვიმ დიპლომატის სიმშვიდით უპასუხა: „ჩვენ არ ვფიქრობთ, თითქოს რეგულაციის ექსპორტს ჰქონდეს ადგილი და უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ამის კიდევ ერთი დადასტურებაა. ყველაფერი დამოკიდებულია ხალხზე, საზოგადოებაზე - რამდენად არის ის მზად საკუთარი ცხოვრების შესაცვლელად“.



ინფორმაცია

აფხაზეთი ჩრდილოეთ კავკასიის მამისტრალი დაუკავშირდება

ემოციურობით გამოირჩეოდა იმ თემაზე მსჯელობაც, თუ რა წილად რჩებიან დამოუკიდებელი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები სტრატეგიული საკითხების გადაწყვეტისას და როგორ ითვალისწინებენ დიდი ქვეყნების ინტერესებს.

ევგენი პრიმაკოვი დასწრებია ფორუმს. მაგ კაცს თავისი პოლიტიკური კარიერის პიკზე (რფ-ის პრემიერმინისტრობისას) საქართველოსადმი სიმპათია დიდად როდი დასტყობია, „სრულიად პირიქითაც კი“... არადა, ძველი თბილისელია, ხომ არ გამოგლაპარაკებიათ ქართველ დელეგატებს?

არავითარი შეხება არა გვქონია. ერთთავად პრეზიდენტში იჯდა. ისე, საკმაოდ მოტეხილი მეჩვენა...

„სვობოდნაია გრუზია“ პრესტიჟული გაზეთია და არა მხოლოდ რუსულენოვან მკითხველთათვის. როგორ შეეგუეთ ახალმოსახლეობას, ახალ პირობებს?

მადლობა კეთილი სიტყვისათვის. თქვენ იცით, რომ წინა წლებში, სადაც გაზეთი 1929 წლიდან „ცხოვრობდა“ და მუშაობდა, შარშან, აგვისტოში გაგვიყიდა. ბუნებრივია, ოფისის შეცვლას მრავალი დამატებითი ხარჯი მოსდევს და გარკვეული პრობლემები შეგექმნა. ოღონდ გამოუვალი მდგომარეობები, მოგეხსენებათ, არ არსებობს. როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო და ცვდილობთ, რომ ჩვენი სიმძლევები მკითხველთ არ შევამჩნევინოთ.

რუსეთის საელჩოსთან როგორია თქვენი კონტაქტები?

ახლო ურთიერთობა მქონდა წინა ელჩთან ვლადიმერ ჩხიკვიშვილთან, საოცრად კომუნიკაბელურ პიროვნებასთან, უმაღლესი რანგის დიპლომატთან და ჩვენს გაზეთთან თბილი დამოკიდებულებით გამორჩეულთან. ეს აბსოლუტურად გასაგებია: თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რომ მამამისი ირაკლი ჩხიკვიშვილი, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ გაზეთს.

ამჟამინდელ საელჩოს რაც შეეხება, პირადი ურთიერთობები ისეთ ფარგლებში გვაქვს, როგორცაა ოფიციალურად ითვალისწინებს მასმედიისა და დიპლომატიის დამოკიდებულებები. „სვობოდნაია გრუზია“ გამოწერილი აქვთ და, ალბათ, კითხულობენ კიდევც...

ესაუბრა თაგაზ ებანოიძე

ამის შესახებ ინფორმაცია ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან დაბრუნებულმა სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელმა გენადი გაგულოვმა გაავრცელა.

„ჩვენ ერთად უნდა შევიმუშავოთ აფხაზეთისა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებული პროგრამა. ასევე, მომავალი თანამშრომლობის საკითხებზე უნდა ვიმსჯელოთ“ - განაცხადა გაგულოვმა.

შეგახსენებთ, რომ დონის როსტოვში გამართულ რუსეთის სამხრეთ ფედერალური ოლქის სატრანსპორტო კომისიის სხდომაზე, სეპარატისტული აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ახალი სატრანსპორტო არტერიის გაყვანის პროექტი წარადგინა, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის პირდაპირი შემაერთებელი მაგისტრალი აშენდება.

ამ პროექტის მიხედვით, გუმისა და ფსხუს გავლით, ყარაჩაი-ჩერქეზეთში აფხაზეთიდან მიმავალ ყველაზე ოპტიმალურ მარშრუტად კავკასიონის ერთ-ერთი მთავარი ქედის გადასასვლელი განიხილება.

შეხვედრა ცხინვალში უშიშროების

ცხინვალში კავკასიის უზუცესთა დიდი საბჭოს შეკრება გაიმართა. ოსური მხარის ინფორმაციით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში ჩრდილოეთ ოსეთის, აფხაზეთის, როსტოვის ოლქის, ჩეჩნეთის, დაღესტანისა და კავკასიის სხვა რეგიონების უზუცესების სტუმრობას ელიან.

შეხვედრის ძირითადი მიზანი საერთოკავკასიური უზუცესთა საბჭოს შექმნის იდეის განხილვა იქნება, რომელიც კავკასიის ხალხების „მშვიდობიანობის, სტაბილურობის, კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების დაცვის სადარაჯოზე დადგება“.

XD-308-360

ინფორმაცია

კვალიფიკაციას ნიდერლანდებში აიმაღლებენ

ნიდერლანდების ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ნოუთ ველინკის საქართველოში ვიზიტის მეორე დღეს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან რომან გოცირიძესთან პირისპირ შეხვედრის დროს განხილული ერთ-ერთი საკითხი ნიდერლანდების ცენტრალურ ბანკში ქართველი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება იყო.

საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლები ნიდერლანდების ბანკში ტრენინგს უკვე რამდენიმე წელია გადიან. ნიდერლანდების ბანკი ანაზღაურებს სწავლების, სემინარის მასალებისა და სასტუმროს ღირებულებების ხარჯებს. სემინარები, ძირითადად, ნიდერლანდების ბანკის ოფისში ტარდება, ხოლო მათი ნაწილი, კერძოდ, ზედაშეხვედრის, ბულალტერიისა და შინა

აუდიტის საკითხებზე კი - ნიდერლანდების ბანკის სასწავლო ცენტრში - პაუნენჰოფში, რომელიც ქალაქგარეთ, ამსტერდამიდან დაახლოებით 70 კმ-ის სავალზე მდებარეობს.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ნიდერლანდების ბანკში საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლები კვალიფიკაციას მიმდინარე წელსაც და გაისადაც აიმაღლებენ.

XD-308-360



საქართველოს სამხრეთითა თავკაცი ოლეგ იაძე ყოველი შეჯიბრების წინ თითქმის ზუსტად ასახელებს მედლების იმ რაოდენობას, რომელიც მისმა შეგირდებმა უნდა მოიპოვონ. ასე იყო ლიუპაიაში გამგზავრებამდეც. ჩვენმა ბიჭებმა ჭაბუკთა და ახალგაზრდების ევროპის პირველობიდან მართლაც 13 მედალი ჩამოიტანეს



პრიზი

გაზინბტონი და ულიანოვი ქართველებს დაუპირისპირდნენ

საძარბაველოს მოკრივეები მონდომებით ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის, სადაც პეკინის ოლიმპიადის საგზურები გათამაშდება. წლეულს ჩვენმა სპორტსმენებმა ახალი მწვრთნელის - ავთანდილ შოშიაშვილის ხელმძღვანელობით ბაქოს ტურნირიდან 8 მედალი ჩამოიტანეს, კივიდან - ათი, ხოლო ამას წინათ ჩეხეთიდან, სადაც ბევრად უფრო ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ. კვლავ იყოჩაღა გუნდის ერთ-ერთმა



ლიდერმა კახა ჟვანიამ (69 კგ). მან ზედიზედ სძლია ინგლისელ, ჩინელ და ჩეხ მეტოქეებს და ფინალში ყაზახ ვლადიმერ ულიანოვს (დიდი ლენინის სენიას და მოგვარეს) უნდა შეხვედროდა, მაგრამ კახას ტრავმები ჯერ კიდევ ბოლომდე არ მოუშუშებია, ამიტომ მწვრთნელებმა გარისკვას პირველი ადგილის დათმობა ამჯობინეს და ვერცხლის მედალს დასჯერდნენ. ასევე მეორე ადგილზე გავიდა მძიმეწონოსანი ბექა ლობჯანიძე. ფინალში ქართველმა მოკრივემ აშკარად დაჩაგრა გერმანელი შტეფან კობერი,

მაგრამ არბიტრების არაობიექტურობით მხოლოდ „ვერცხლი“ ხვდა. კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა გიორგი ნაკანი (75), რომელსაც ნახევარფინალური ორთაბრძოლისას ცხვირი გაუტყდა და მწვრთნელებმა შეჯიბრებიდან მოხსნეს. „ჯვაროსანთა ვის“ კიდევ ერთი მედლის მოტანა შეეძლო დავით ნიკლაურს (81), მაგრამ აქაც მსაჯების მიკერძოებამ იჩინა თავი - მეოთხედფინალში გამარჯვება ქართველის ბრაზილიელ მეტოქეს ვაშინგტონს მიაკუთვნეს. ნაკრების წევრები ახლა ცოტას დაისვენებენ და მერე მსოფლიო ჩემპიონატისთვის ინტენსიურ მზადებას განაგრძობენ.

ორბიტაზე

პელეს ვინ გაეჭიბრება?

ფეხბურთის მეფემ ელსონ არანტეს დუ ნასიმენტუმ, ყველასთვის პელედ ცნობილმა, ჩვეული ირონიით მოიხსენია თავისი თანამემამულის რომარიოს წარმატება. შეგახსენებთ, რომ ამას წინათ „ვასკუ დე გამას“ ლეგენდარულმა თავდამსხმელმა თავის კარიერაში მეთასე გოლი გაიტანა. რაც პელემ ჯერ კიდევ 37 წლის წინათ გააკეთა. ახლა პელემ წაიხუმრა - რომარიოს კიდევ 282 გოლი დარჩა გასატანო. როდესაც პელემ მეთასე ბურთი გაიტანა, 29 წლის იყო, რის შემდეგ მან კიდევ 281 გოლის გატანა მოასწრო. რომარიო კი უკვე 41 წლისაა და ალბათ სულ მალე დატოვებს დიდი ფეხბურთს, ასე რომ, ვერ მოახერხებს თავის დიდ თანამემამულესთან, ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონთან წამოწევას. თუმცა პელემ მინაც აღნიშნა, რომ ის ძალზე გაახარა რომარიოს მეთასე გოლმა. „მე ვგულშემატკივრობდი მას, ვინაიდან კიდევ ერთი ბრაზილიელია, ბრწყინვალედ რომ თამაშობს“.

„სასოწარკვეთილი დიასახლისი“ - ქველმოქმედი

ძალზე პოპულარული ტელესერიალის „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ ერთ-ერთი ვარსკვლავი, ჰოლივუდისა და, იქნებ მსოფლიოსიც კი, უღამაზესი ქალბატონი ევა ლონგორია მონაწილეობდა ბიზნოსის საქველმოქმედო ტურნირში, რომლის მთელი შემოსავალი კიბოთი დაავადებულ ბავშვების მკურნალობას მოხმარდება. მთავარის კი არაა, გაიმარჯვა თუ დამარცხდა ლამაზი, არამედ ის, რომ მატჩი გაიმართა სერიოზულად დასნეულებული ბავშვების სასარგებლოდ, და ისიც, რომ შეჯიბრებაზე მოსულმა მამაკაცთა უმრავლესობამ თვალი გაახარა ვარსკვლავის უღამაზესი, თანამედროვე კინოინდუსტრიაში ყველაზე ჩამოსხმულად მიჩნეული ფეხების ყურებით.



თავად ევა, 7 ივლისს კალათბურთულ ტონი პარკერთან ქორწილი რომ აქვს დანიშნული, ოცნებობს საკუთარ შვილებზე. (ქორწილამდე მომავალი ცოლ-ქმარი სექსზე თავს იკავებს).

ჭაღრაპი

პირველად - ეკატერინბურგში

რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა პირველი გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც საპრიზო ადგილებს 10 ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებიან ერთმანეთს.

პირველ ტურში საქართველოს ნაკრებმა (მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, სოფიო გვეტაძე, სოფიო ხუბაშვილი, კაპიტანი - ნინო გურიელი) ჩეხებს სძლია 2,5:1,5. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ჩინეთი - ვიეტნამი 3,5:0,5, რუსეთი - გერმანია 3:1, პოლონეთი - ბოტსვანა 4:0, უკრაინა - სომხეთი 3:1.

მეორე ტური: საქართველო - ბოტსვანა 4:0, გერმანია - პოლონეთი 1:3, ჩინეთი - რუსეთი 4:0, უკრაინა - ჩეხეთი 3:1, ვიეტნამი - სომხეთი 2,5:1,5.

მესამე ტურში გერმანიის ნაკრებმა, რომელმაც წინა დღეებში სამ-სამი ქულა „არუქა“ მეტოქეებს, ოლიმპისკენ მიმავალი გზა გაგვიმრუდა - ელიზაბეტ პეტცმა

ჩიბურდანიძე დაამარცხა, ჯავახიშვილი მალევე დაუზავდა ქვეყანა კახიანი-გერმანიას, ხურციძემ მელანი ომეს სძლია, ხოლო ხუბაშვილმა ქულა გაიყო მარიარანდი შონესთან. საბოლოოდ ფრე - 2:2 და ჩვენმა გუნდმა მხოლოდ ქულა ჩაინერა გათამაშების ცხრილში (მოგებებისთვის 2, ნაგებისთვის კი 0 ქულაა).

კვლავ გამოიჩინა თავი ჩინეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელმაც ისევ მშრალი ანგარიშით სძლია პოლონეთის გუნდს. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: რუსეთი - ვიეტნამი 3,5:0,5, უკრაინა - ბოტსვანა 4:0, სომხეთი - ჩეხეთი 4:0.

სამი ტურის შემდეგ ჩინელებს (11,5) და უკრაინელებს (10) 6-6 ქულა აქვთ. მომდევნო ადგილებზე მოდიან: საქართველო - 5 (8,5), პოლონეთი - 4 (7), რუსეთი - 4 (6,5), სომხეთი - 2 (6,5), ვიეტნამი - 2 (3,5), გერმანია - 1 (4), ჩეხეთი - 0 (2,5) ბოტსვანა - 0 (0).

გუნდის გვიანდამით ქართველები ჩინელებს შეხვდნენ.


ფრენა ურთი

სიყუდი შეინახონ

დიდ ჯიხანიში საქართველოს ფრენბურთელ ქალთა პირველობა ადგილობრივი „ჯიკოსა“ და თბილისის სპორტსკოლის წარმომადგენელთა დამატებითი ფინალური მატჩით დამთავრდა. პირველი ორთაბრძოლა დედაქალაქელებმა მოიგეს, მეორეში მასპინძლებმა იყოჩაღეს. მესამე გადამწყვეტი პაექრობა, წინა ორისგან განსხვავებით, ძალიან დაძაბული გამოდგა. 3:2 გაიმარჯვა „ჯიკომ“ (დავითულიანი, ლვინჯილია, აირაპეტია, შენგელია, არველიძე, მიქაძე, კახაძე, გაზაშვილი, იოსებაშვილი, გეგუჩაძე) და საქართველოს ჩემპიონობა ზედიზედ მეექვსედ დაიმსახურა.



სამო



ძალა შესწავთ ძაღლისა

საძარბაველოს სამხრეთითა თავკაცი ოლეგ იაძე ყოველი შეჯიბრების წინ თითქმის ზუსტად ასახელებს მედლების იმ რაოდენობას, რომელიც მისმა შეგირდებმა უნდა მოიპოვონ. ასე იყო ლიუპაიაში გამგზავრებამდეც. ჩვენმა ბიჭებმა ჭაბუკთა და ახალგაზრდების ევროპის პირველობიდან მართლაც 13 მედალი ჩამოიტანეს.

ჭაბუკებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა გორელი ზურაბ დიდუბაშვილი (75 კგ.). მეორე ადგილები დაიკავეს ილია ტყემულაშვილმა (52, ქუთაისი) და რობერტ მშვიდლობაძემ (57, გორი), ხოლო ვალერი მხეიძეს (48, ვანი), გიორგი ჩიტაშვილს (60, თბილისი), ლევან ნახუცრიშვილს (65, თბილისი), ირაკლი მერკვილაძეს (81, ტყიბული) და მირიან გონჯილაშვილს (მძიმე წონა, ახმეტა) „ბრინჯაო“ ხვდათ.

ახალგაზრდებში ოქროს მედლები დავით კარბელაშვილმა (81, გორი) და გოდერძი ჯავახაძემ (90, ქუთაისი) მოიპოვეს; კასპელი გიორგი იაძე (74) და ვახტანგ ზოიძე (მძიმე წონა), მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ, გორელი ნუგზარ ბადაშვილი (100) კი მესამე იყო.

გუნდი იაძესთან ერთად ბადრი ჯანიაშვილმა და გია ჩიტაშვილმა მოამზადეს.

ალპინიზმი

„სუსტი სქესი“ - ევერესტზე

რუსეთის მეორე მოქალაქე ქალმა, მოსკოველმა ლუდმილა კორობეშკომ 20 მაისს დაიპყრო პლანეტის უმაღლესი მწვერვალი - ევერესტი (8848 მ.).

ის მონაწილეობდა მისი ქმრის, პროფესიონალი სამთო გოდის ალექსანდრე აბრამოვის მიერ მოწყობილ კომერციულ ექსპედიციაში. ლუდმილას გარდა, უმაღლეს მწვერვალზე მის ქმართან ერთად კიდევ 10 მოყვარული ალპინისტი ავიდა.

პირველი რუსეთის მოქალაქე ქალი, ევერესტი ორჯერ რომ დაიპყრო, ტომსკელი ანა აკინინაა (1999, 2001 წ.). ხოლო საბჭოთა ქალებიდან ევერესტზე პირველად 1990 წლის 10 მაისს ირკუტსკელი ეკატერინა ივანოვა ავიდა.





რეპორაჟი

ზურაბ წერეთელი პარიზს ანცვიფრებს

ანცვიფრებს, მაგრამ „განართი, ძმანო?“ 300 ნახატი, ემალით, ნაძერწით... საფრანგეთის დედაქალაქი ზურაბ წერეთელმა დიდი ხანია შეიყვარა და, სამუდამოდაც. იქ პირველად „დათბობის“ წლებში ჩაფრინდა კერძო მინვესტი, როცა ჯერ უცნობი ახალგაზრდა მხატვარი იყო. მინვესტს ხელს აწერდნენ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საფრანგეთში ემიგრირებული ნათესავები. ზურაბის ბედად, ერთ-ერთი მათგანი გენერალ დე გოლის მრჩეველი გახლდათ. ეს მან გააცნო სიცოცხლის

ბა, ფორმის განზოგადების უნარი. მე მგონია, დიდი ფერმწერი დადგება. კარგი ტრადიციები გადაუღია ფიროსმანისგან, რომლის შემოქმედება ასე დამეხმარა, როცა თავად გახლდით ახალგაზრდა მხატვარი. წინასწარმეტყველება ახდა.



ევროპისა და აზიის მრავალ ქალაქს ამშვენებენ წერეთლის ვიტრაჟები, მოზაიკები, ქანდაკებები. იუნესკოს ბაღში, სახელგანთქმულ სკულპტორთა მოდელების მეზობლად, კოლუმბი დგას, რომელიც ექსპერტებმა XX საუკუნის პლასტიკის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვში შეიყვანეს. ხმელთაშუა ზღვასთან, ადგაში გახსნილია ბაღზაკის ძეგლი. პლოერმელმა (ბრეტანი) ჩაიბარა ბრინჯაოსგან ჩამოსხმული პაპი იოანე-პავლე მეორე. იუნესკოს შტაბ-ბინაში ხელოვანს კეთილი ნების ელჩის დიპლომი გადასცეს. ასეთი პატივი მხოლოდ ჩვენს დიდ თანამედროვეთ ხედომიათ. ის არჩეულია საფრანგეთის იმ აკადემიის წევრად, რომლის შემადგენლობაში პეტრე დიდი ირიცხებოდა. და, აი, გამარჯვების დღესასწაულის წინა დღეს იუნესკოს დარბაზებში მოეწყო წე-

რეთლის სურათების, ემალების, ბრინჯაოს, გრაფიკის დიდი პერსონალური გამოფენა.

„გახარებული ვარ,“ უთხრა რუსეთის საყვარელი აკადემიის პრეზიდენტმა „MK“-ს კორესპონდენტს ვერნისაუსის გახსნის წინ, — რომ გამოფენა პარიზში იმართება, სადაც მეორედ დავიბადე. საფრანგეთთან ყოველი ახალი შეხვედრა სულიერ აღმავრენას მგერის. ყოველთვის შთამაგონებდნენ მოყვასისა და ღმერთის სიყვარულის, სიცოცხლის სიხარულის, მზე და ბუნება, ყვავილები და ქალები, ჩემი ოჯახი და ჩემი ხალხი. აი, ყველაფერ ამას ვაჩვენებ.

ნამუშევართა უმეტესობა 2006 და 2007 წლებით არის დათარიღებული. ახალ პორტრეტებს შორის ფრანგებმა ნახეს დიმიტრი შოსტაკოვიჩის ნათელი სახე, როცა ის ხმას აძლევს ახალგაზრდა მხატვრისათვის ლენინური პრემიის მინიჭებას. პარიზში პირველად იყო წარდგენილი მოცულობითი ფერადი ემალები — მსოფლიო ხელოვნებაში წერეთლის ნათქვამი ახალი სიტყვა...

პარიზშივე ნახეს აცრემლებული კომპოზიცია. ტყვიებით დაცხრილული კედლის ფონზე ნიკოლოზ მეორე, დედოფალი და შვილები, თვალდასუქული, დახვრეტის წამს გარინდულან. „სამაგიეროდ“ უნებლიე დიმილს გამოიწვევს „მამლების ჩხუბი ხონში“.

მხატვარი პეიზაჟებში სევდას არ იკარებს. მან ბევრი ნამუშევარი გამოჰფინა, რომელთა დასახელებაში ხსოვნა იკვეთება. ისინი გარდასულ მეგობრებს ეძღვნება — ანატოლისა და გერას, თალიკო და გიორგი ჩიტაიებს. ხსოვნის ხარკი გადაეხადათ ცნობილ შემოქმედთ მარკ შაგალს, კაზიმირ მალევიჩს, მატისს, ტიშლერს. წერეთელი ყველა მათი მადლიერია სიცოცხლისა და დაუღალავი ქმნისათვის.

ლევ კოლოდნი

ინფორმაცია

ხანძარი შიშვინის ტყეში

გუშინ ბელისკისა და გოგებაშვილის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე, მთაწმინდის ტყეში, ხანძარი გაჩნდა. ხანძარი, მიუდგომელ მონაკვეთზე, 150-180 კვ.მ. ტყის ფართობზე იყო მოედებული. სახანძრო სამსახურში, შეტყობინება ხანძრის შესახებ, 13.04 საათზე შევიდა, შემთხვევის ადგილზე 4 ე.წ. საბრძოლო მანქანა მუშაობდა. ხანძრის გაჩენის მიზეზები უცნობია.

XO-208-260

ამერიკაში წამსვლელთა საყურადღებოდ

ამერიკის შეერთებულ შტატებში წასვლის მსურველებს ივლისიდან უსაფრთხოების დამატებითი პროცედურების გაწევა მოუწევთ.

როგორც გუშინ ამერიკის საელჩოში გამართულ სპეციალურ შეხვედრაზე ამერიკის შეერთებული შტატების კონსულმა საქართველოში ლინდსი პენდერსონმა განაცხადა, ივლისიდან შემოდის ახალი წესი, რომლის თანახმადაც, აპლიკანტებმა წამსვლად ორი საჩვენებელი თითისა, ათივე თითის ანაბეჭდი უნდა ჩააბარონ.

დღემდე, დაახლოებით 2-3 წლის განმავლობაში, ამერიკაში წასვლის მსურველები მხოლოდ საჩვენებელი თითების ანაბეჭდს ტოვებდნენ.

მისივე განცხადებით, გარკვეულწილად, აღნიშნული ცვლილება ამერიკაში მიღებული ახალი კანონის თანახმად მოხდა, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ გახდა საჭირო.



ინტერპრესნიუსი

აგრობიზნესის საჭრო და სინვესტიციო მისია საქართველოში ბრუნდება

ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი უკვე მეორედ ასპონსორებს აგრობიზნესის სავაჭრო და სინვესტიციო მისიას საქართველოში. თხუთმეტამდე ამერიკული კომპანია ეწვევა საქართველოს ხუთი დღის განმავლობაში 1 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით 2007 წელს.

აღნიშნული მისია უზრუნველყოფს ამერიკელი დელეგატების ფოკუსირებულ ერთ-ერთზე შეხვედრებს საქართველოში არსებულ აგრობიზნესებთან.

მისიის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღებისათვის დაინტერესებულმა კომპანიებმა მოგვმართეთ:

თბილისის ბიზნეს მომსახურების ცენტრი (TBSC) მეიდან პალასი; ლესელიძის ქ. №44. ტელ.: (+995-32) 75-10-44, 43-90-96.

განცხადება

2007 წლის 9 ივლისს, 14 საათზე, ქ. რუსთავეში, დავით გარეჯის ქ. 36-ში, შპს „ჯეოსთილის“ ადმინისტრაციულ შენობაში, გაიმართება შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს მონეობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, მეტალურგიული საწარმოს მონეობა, ჯართის გადაშუშავება, ფოლადის მიღება და სასაქონლო არმატურის წარმოება და რეალიზაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

- შპს „ჯეოსთილის“ ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. რუსთავეში, დავით გარეჯის ქ. 36;
- სამეცნიერო-კვლევითი ფორმა „გამას“ ოფისში — ქ. თბილისი, მერაბ აღუქსიძის ქ. №9ა.

საზოგადოების წარმომადგენლებისგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2007 წლის 8 ივლისის 18 საათამდე. შპს „ჯეოსთილის“ ღირამსა

განცხადება

სს „საქმლამპროექტის“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს თავის აქციონერებს საქციო საზოგადოების საანგარიშო საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2007 წლის 14 ივნისს 12 საათზე, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი №74.


- დღის წესრიგი:
- 1. 2006 წლის საფინანსო-სამეურნეო ანგარიში;
- 2. 2007 წლისათვის აუდიტორის შერჩევა;
- 3. სხვადასხვა.

ახალი სპექტაკლი

პატარებს „თხუპნია“ მოეწონათ

ამბს წინათ, ახალციხის თოჯინებისა და საყვანვილო სახელმწიფო ქართულმა თეატრმა მათეურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ტარიელ ხავთასის ცნობილი საბავშვო პიესა „თხუპნია“, რომლის დადგმა განახორციელა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნოდარ იონათამიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ „თხუპნია“ ადრე ორ-ორჯერ დაიდგა თბილისისა და ქუთაისის თოჯინების თეატრებში და წლების მანძილზე ამშვენებდა მათ რეპერტუარს (იგი ახლაცაა ქუთაისის თოჯინების თეატრის მოქმედ რეპერტუარში).



ახალციხელთა სპექტაკლი საყურადღებო ორიგინალური გადაწყვეტით; შესანიშნავი, მართლაცადა, ჰაეროვანი, მსუბუქი თოჯინებით, ციელა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნოდარ იონათამიშვილმა. პრემიერამ წარმატებით ჩაიარა, რისი დასტურიც იყო პატარების გულწრფელი ოვაცია. რეჟისორ ნ. იონათამიშვილს გადაწყვეტილი აქვს, ახალი თეატრალური სეზონისათვის „თხუპნიას“ დადგმა განახორციელოს გურჯაანის თოჯინების თეატრშიც. ამასთან, გეგმავს, რომ ახლო მომავალში დედაქალაქში ჩამოიტანოს და თბილისის თოჯინების თეატრში მათეურებელს უჩვენოს ახალციხელთა ლამაზი სპექტაკლი.

რომლებიც შექმნა ახალგაზრდა მხატვარმა ვ. ქორიძემ. სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა კომპოზიტორმა მ. მერაბიშვილმა.

როლები შეასრულეს თეატრის წამყვანმა მსახიობებმა: ლ. ბედნარსკაიამ, მ. თორდუამ, რ. სისაურმა, თ. კუჭაძემ და ნ. წარბაულმა.

პრემიერამ წარმატებით ჩაიარა, რისი დასტურიც იყო პატარების გულწრფელი ოვაცია.

რეჟისორ ნ. იონათამიშვილს გადაწყვეტილი აქვს, ახალი თეატრალური სეზონისათვის „თხუპნიას“ დადგმა განახორციელოს გურჯაანის თოჯინების თეატრშიც. ამასთან, გეგმავს, რომ ახლო მომავალში დედაქალაქში ჩამოიტანოს და თბილისის თოჯინების თეატრში მათეურებელს უჩვენოს ახალციხელთა ლამაზი სპექტაკლი.

ნუგზარ ბერიძე

№ 98. სუბსაბოტი, 24 მაისი, 2007 წელი.

